

ითვალისწინებს თუ არა კანონი კერძო აღსრულებას?

1. პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.
2. ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.
3. მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება არის სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის საფუძველი.

რა სანქციებია გათვალისწინებული კანონის დამრღვევთა მიმართ?

- სააგენტოსათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ათასიდან სამი ათას ლარამდე ოდენობით (ინფორმაციის წარუდგენლობად ითვლება აგრეთვე არასრული ან არასწორი ინფორმაციის წარდგენაც).
- კანონით აკრძალული ანტიკონკურენციული ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებების და შეთანხმებული ქმედებების, ან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია დააკისროს ჯარიმა ამ კანონის დამრღვევ პირებს (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა). ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვის 5 პროცენტს. დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტს. ჯარიმის ოდენობის დადგენისას გაითვალისწინება კანონდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.

კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები

გარდა იმისა, რომ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, იგი უფლებამოსილია სასამართლოში გაა-

ჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება. გასაჩივრების პროცესში გადაწყვეტილების აღსრულება არ ხდება.

საჯაროობა და კონფიდენციალობის დაცვა

სააგენტოს მიერ მოკვლევის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა. გადაწყვეტილება ეგზავნებათ მხარეებს /განმცხადებელს და უნდა გამოქვეყნდეს მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.



კონკურენციის კანონის აღსრულების მექანიზმები

ქეთევან ლაფაჩი

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ზანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net

კონკურენციის კანონის აღსრულებაზე უფლებამოსილი ინსტიტუტი

საქართველოს „კონკურენციის კანონის“ (შემდგომში - კანონი) მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — კონკურენციის სააგენტო.

კონკურენციის კანონის აღსრულების ეფექტიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უფლებამოსილ ორგანოს გააჩნდეს სათანადო სტატუსი და ცხადად გამოკვეთილი, ფორმალურად განსაზღვრული აღმასრულებელი ძალაუფლება, რომელიც მას საშუალებას მისცემს უზრუნველყოს „...კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმების და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა“.

გაჩნია თუ არა კონკურენციის სააგენტოს შესაბამისი აღმასრულებელი ძალაუფლება?

კონკურენციის კანონმდებლობით კონკურენციის სააგენტოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი როგორც ეკონომიკურ აგენტებთან, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებით. მათ შორის, სააგენტოს უფლება აქვს:

- აწარმოოს საქმის მოკვლევა როგორც განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით;
- მოკვლევის მიზნით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, ადგილზე შეამოწმოს საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტი;
- საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობისა და კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის ეკონომიკურ აგენტს დააკისროს კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმა;
- ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების კონკურენციის კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი;
- სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე;
- წარუდგინოს ხელისუფლების ორგანოებს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია მათ მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების ცვლილებების ან გაუქმების თაობაზე, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სა-

კითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

- საქართველოს მთავრობას მიმართოს დასკვნით და საჭიროების შემთხვევაში – რეკომენდაციით, თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას; და სხვა.

სააგენტოს გადაწყვეტილებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტებისათვის.

რა საფუძველზე ხდება საქმის შესწავლა?

საქმის შესწავლა ხდება როგორც განცხადების ან საჩივრის საფუძველზე, ასევე სააგენტოს ინიციატივით. სააგენტოში განცხადების ან/და საჩივრის წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს (რომელიც მხარედ არ განიხილება). საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებებიც. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონით (მუხლი 24) სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე თუ:

- ა) საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს;
- ბ) არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;
- გ) განსაზღვრულ ვადაში არ არის წარმოდგენილი კანონის თანახმად გამოთხოვილი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება;
- დ) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

როგორ ხდება საქმის მოკვლევა?

კანონით დადგენილია საქმის მოკვლევის წესი (მუხლი 25) და რეგლამენტირებულია ისეთი საკითხები, როგორცაა: საქმის მოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, საქმის შეწყვეტის პირობები, სააგენტოს უფლებები მოკვლევის პროცესში და სხვა.

სააგენტო ვალდებულია დაასრულოს საქმის მოკვლევა და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაწყებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში. საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 თვემდე.

საქმის მოკვლევა წყდება, თუ საქმის მოკვლევის დაწყების შემდეგ მომჩივანმა უარი განაცხადა საჩივარზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.

საქმის მოკვლევის პროცესში სააგენტოს უფლება აქვს:

- დაინტერესებული მხარისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტები;
- მოიწვიოს ისინი ახსნა-განმარტების მისაღებად;
- სასამართლოს ნებართვით ადგილზე შეამოწმოს ეკონომიკური აგენტი, რომლის მიმართაც არსებობს განცხადება ან/და საჩივარი;
- ადგილზე შემოწმების მიზნით მიმართოს სასამართლოს თუ: ა) კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით შეუძლებელია საქმის მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღება; ბ) არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების ან/და დამალვის საშიშროება; გ) მხარეები არ ასრულებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებას; დ) საჭიროა მატერიალური აქტივების ვიზუალური დათვალიერება;
- განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ქმედებები.

კონკურენციის სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის წესს და მოკვლევის წარმოების პროცედურებს, საქმის მოკვლევის პროცესში მონაწილე პირების უფლებებს და ვალდებულებებს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა“.

აღსრულებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ კონკურენციის კანონის დარღვევის თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადაა დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 3 წელი.